



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დანართი

აღრიცხვის და დაბეგვრის უმაღლესი განათლების დარგობრივი
მახასიათებელი
უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურები
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები



I შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი¹ არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც აღრიცხვისა და დაბეგვრის სწავლის სფეროს I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებს.

აღრიცხვისა და დაბეგვრის დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი აღრიცხვისა და დაბეგვრის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეიძენს.

აღრიცხვისა და დაბეგვრის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს სასწავლებლებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამების შემუშავებაში, მისანიჭებელი კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებაში, სტუდენტების მობილობისა და კურსდამთავრებულთა ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებაში, რომელიც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას სწრაფად ცვალებად გარემოში, მათი შესაძლებლობების რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას პროფესიულ საქმიანობაში.

დარგობრივ მახასიათებელში აღწერილია აღრიცხვისა და დაბეგვრის სწავლის სფერო, აღნიშნული სფეროს ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სხვა დამატებითი ინფორმაცია. აღრიცხვისა და დაბეგვრის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული დებულებები, სავალდებულოა შესასრულებლად ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, სადაც ხორციელდება აღრიცხვისა და დაბეგვრის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

აღრიცხვისა და დაბეგვრის დარგობრივ მახასიათებელს უნდა იცნობდეს პირი, თუ იგი მონაწილეობს აღრიცხვისა და დაბეგვრის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო

¹ დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს შუალედურ დოკუმენტს, რომელიც ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს აკავშირებს საგანმანათლებლო პროგრამასთან. იგი აღწერს იმ მინიმალურ სწავლის შედეგებს, რომელიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს/დარგის კვალიფიკაციის მფლობელს, თუმცა არ ამოწურავს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს. ამასთან, დარგობრივი მახასიათებლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას შეუძლია დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნული სწავლის შედეგების სტრუქტურულად განსხვავებულად ჩამოყალიბება.



პროგრამების ან საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შემუშავებაში, განხილვასა და განხორციელებაში.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს სასწავლებლებს თავად შეუძლიათ განსაზღვრონ საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი და სტრუქტურა მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. მონიტორინგი შესაძლებელია ჩატარდეს პერიოდულად, აკრედიტაციის და მასთან დაკავშირებული პროცესებისა და პროცედურების მეშვეობით.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- აღრიცხვა და დაბეგვრა I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის;
- აღრიცხვის და დაბეგვრის შესწავლით დაინტერესებული აბიტურიენტებისათვის;
- სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ აღრიცხვის და დაბეგვრის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე;
- უცხოელი სტუდენტებისთვის, რომლებსაც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სურთ სწავლა გააგრძელონ საქართველოში აღნიშნულ საგანმანათლებლო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე;
- დამსაქმებლებისათვის, რომლებიც შრომის ბაზარს უყენებენ მოთხოვნებს თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნისა და უნარების კუთხით;
- განათლების სფეროს ექსპერტებისათვის, რომლებსაც ევალებათ მოცემული დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და მონიტორინგი;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისათვის, რომლებიც ადგენენ საბაკალავრო/საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას აკრედიტაცია/ავტორიზაციის სტანდარტებთან.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 5 წელი.



ინგლისურენოვანი დარგობრივი მახასიათებლის სახელწოდება: Subject Benchmark Statement of Accounting and taxation

აღრიცხვის და დაბეგვრის დარგობრივი მახასიათებლის შექმნის საჭიროება განაპირობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობამ.

II სწავლის სფეროს აღწერა

II.I სწავლის სფერო, მისი არსი და ძირითადი მახასიათებლები

აღრიცხვა და დაბეგვრა არის ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროს უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელიც შეეხება სუბიექტის ფინანსური ტრანზაქციების განხორციელებას, აღრიცხვასა და აუდიტს.

აღრიცხვისა და დაბეგვრის სფერო ექვემდებარება მნიშვნელოვან მარეგულირებელ ზედამხედველობას სამთავრობო უწყებების, პროფესიული ასოციაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ. ეს რეგულაციები შექმნილია ფინანსური ანგარიშგების და დაბეგვრის მთლიანობის, სიზუსტისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. მოცემული დარგი მუდმივად ვითარდება და იცვლება ახალი რეგულაციების, განვითარებადი ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების გამო. ამ სფეროში კარიერული ზრდისთვის აუცილებელია არა მხოლოდ თეორიული ცოდნის მიღება არამედ აღრიცხვასა და დაბეგვრაში პროფესიული უნარების გამომუშავება, ეთიკური ღირებულებებისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბება.



წინამდებარე დოკუმენტით აღრიცხვისა და დაბეგვრის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები განისაზღვრება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროს კლასიფიკატორის და მოქმედი კანონმდებლობის, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) სტანდარტების, სახელმძღვანელოებისა და სხვა კონცეპტუალური დოკუმენტების საფუძველზე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის მიხედვით პროფესიის დასახელებაა ბუღალტერი ISCO-08-ის კოდი: 2411

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები აღრიცხვისა და დაბეგვრის განათლების სფეროში სტუდენტებს აძლევს აუცილებელ ცოდნას და უნარებს აღრიცხვისა და დაბეგვრის სფეროებში წარმატების მისაღწევად.

აღრიცხვისა და დაბეგვრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს კერძო და საჯარო სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საფინანსო, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში, ასევე, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში, შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

აღრიცხვისა და დაბეგვრის დარგობრივი მახასიათებლები ეხება იმ სფეროს, რომელსაც ეკონომიკის სხვა სექტორებისგან გამოარჩევს შემდეგი ძირითადი თავისებურებები:

მარეგულირებელი გარემო: აღრიცხვისა და დაბეგვრის სექტორი ექვემდებარება მნიშვნელოვან მარეგულირებელ ზედამხედველობას სამთავრობო უწყებების, პროფესიული ასოციაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ. ეს რეგულაციები შექმნილია ფინანსური ანგარიშგების და დაბეგვრის მთლიანობის, სიზუსტისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

უწყვეტი ცვლილებები: აღრიცხვისა და დაბეგვრის სექტორი მუდმივად ვითარდება და იცვლება ახალი რეგულაციების, განვითარებადი ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური და ფინანსური პირობების ცვლილებების გამო.

პროფესიონალიზმის მაღალი დონე: აღრიცხვისა და დაბეგვრის სექტორი მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს და ეთიკურ ქცევას.

ძლიერი ანალიტიკური უნარები: აღრიცხვისა და დაბეგვრის სფეროს პროფესიონალებს სჭირდებათ ძლიერი ანალიტიკური უნარები ფინანსური მონაცემების გასაანალიზებლად,



საგადასახადო კანონებისა და რეგულაციების ინტერპრეტაციისთვის და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

თანამშრომლობის საჭიროება: აღრიცხვისა და დაბეგვრის სფერო მოითხოვს თანამშრომლობას და კომუნიკაციას პროფესიონალებს, მარეგულირებლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, რათა შესაძლებელი იყოს უტყუარი ფინანსური ანგარიშგების და დაბეგვრის უზრუნველყოფა.

უწყვეტი განათლების მნიშვნელობა: აღრიცხვისა და დაბეგვრის სფერო საჭიროებს მუდმივ განათლებას და ტრენინგებს, რათა გათვალისწინებული იქნას მარეგულირებელი ცვლილებები, განვითარებადი ტექნოლოგიები და საუკეთესო პრაქტიკა.

დარგის ძირითადი მარეგულირებელი და კონცეპტუალური დოკუმენტები:

- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. (2004);
- საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, (2016);
- საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი, (2010)
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, (2021)
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები ფასს სტანდარტები (IFRS);
- მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მსს ფასს სტანდარტები (IFRS for SMEs) ;
- მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი,
- აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, (ISA)
- აუდიტის ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები (ISQM) 1 (ISQM) 2
- ეთიკის საერთაშორისო კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიული ბუღალტრებისთვის, (2022)
- Directive 2013/34/EU of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on the annual financial statements, consolidated financial statements and related reports of certain types of undertakings

ტერმინებისა და აბრევიატურების განმარტება

IFRS - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები



IFRS for SMEs - მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

IES - განათლების საერთაშორისო სტანდარტები

ISA - აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები

IFAC - ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია

IAESB - ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო

ISQM - ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები

IESBA CODE - პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი

აღრიცხვისა და დაბეგვრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებმა კვალიფიკაციის მფლობელისთვის უნდა უზრუნველყოს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავება შემდეგ სფეროებში:

ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება:

ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში, ინფორმაციის მომხმარებლები; ფინანსური ანგარიშგების მარეგულირებელი ჩარჩოები. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) არსი და დანიშნულება; ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, ელემენტები და ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები; ბიზნეს-ტრანზაქციების ანალიზი და ასახვა, სააღრიცხვო ციკლი (საბალანსო ტოლობა, შეფასება, ანგარიშები, ორადი ჩაწერა, ტრანზაქციების ჩაწერა ანგარიშებში); ფინანსური ანგარიშგების მომზადების სააღრიცხვო ციკლი (საცდელი ბალანსი, მაკორექტირებელი გატარებები, აღრიცხვის ციკლის დასრულება); ფინანსური ანგარიშგების ანალიზი.

მმართველობითი აღრიცხვა: მმართველობითი აღრიცხვის არსისა და დანიშნულების ახსნა; დანახარჯების დახასიათება კლასიფიკაციის, ქვევისა და დანიშნულების მიხედვით; ძირითადი ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და კომპიუტერული ელექტრონული ცხრილების გამოყენება; დანახარჯთა აღრიცხვის მეთოდის ახსნა და გამოყენება; ბიუჯეტების შედგენა და კოორდინირება; ასევე ნორმატიული დანახარჯების კალკულაცია დაგეგმვისა და კონტროლის განხორციელების მიზნებისთვის; მმართველობითი აღრიცხვის მეთოდის გამოყენება გადაწყვეტილებების მისაღებად და დასასაბუთებლად.



მმართველობითი ანგარიშგება, საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები.

საგადასახადო დაბეგვრა: საგადასახადო კანონმდებლობა; გადასახადების სახეები; საგადასახადო ანგარიშგება; სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები; საერთაშორისო დაბეგვრა და გადასახადებისაგან თავის არიდების აღკვეთა; საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა.

აუდიტი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მარეგულირებელი ჩარჩოები; შიდა და გარე აუდიტი; შიდა კონტროლი; აუდიტორული მტკიცებულება; აუდიტორული პროცედურები; აუდიტორული რისკების შეფასება; თაღლითობა, კანონმდებლობა და მარეგულირებელი ნორმები; პროფესიული ეთიკა და ქცევის კოდექსი.

ბიზნეს სამართალი: საკანონმდებლო საკითხები, რომელიც ეხება ბიზნეს ოპერაციებს, კონტრაქტებს და კორპორატიულ მმართველობას. სხვადასხვა ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის სუბიექტების საქმიანობის მარეგულირებელი და სხვა საკანონმდებლო აქტების ახსნა; მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების გამოყენება მონაცემების და ინფორმაციის შეგროვების, გამომუშავების, შენახვის, წვდომის, გამოყენების ან გაზიარებისას.

ფინანსები და ფინანსური მართვა: ფინანსური ინსტრუმენტები, ფინანსური მომსახურება და ფინანსური ოპერაციები; ფინანსური ბაზრის სხვადასხვა სეგმენტის ფუნქციონირების მექანიზმი; ფინანსური მართვის გარემო; დაფინანსების წყაროების განსაზღვრა და მობილიზება, ფინანსური რესურსების გამოყენება და მართვა; ინვესტიციების შეფასება; კაპიტალის ღირებულება; კომპანიის შეფასება; რისკების მართვა.

საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები: ფინანსური აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა; მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტები; ფინანსური ანგარიშგების და ანალიზისთვის გამოყენებული საინფორმაციო სისტემები.

აღრიცხვისა და დაბეგვრის შესწავლის დროს აუცილებელია იმის გათვითცნობიერება, რომ მისი სრულფასოვნად შესწავლა მჭიდრო კავშირშია ისეთ სფეროებთან, როგორიცაა ბიზნეს ადმინისტრირების სხვა სფეროები, ფინანსური ბაზრები, ბიზნესის ეთიკა, ეკონომიკა, სტატისტიკა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია და სხვა.



აღრიცხვისა და დაბეგვრის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში შესაბამისი საფეხურისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები.

აღრიცხვისა და დაბეგვრის საბაკალავრო პროგრამები უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარების ფართო სპექტრს ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების, საგადასახადო დაბეგვრისა და აუდიტის, ფინანსური მართვის სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ, ეთიკურ და სხვა ასპექტებთან მიმართებით.

აღრიცხვისა და დაბეგვრის სამაგისტრო პროგრამები უზრუნველყოფს ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების, საგადასახადო დაბეგვრისა და აუდიტის, ფინანსური მართვის პროცესებთან დაკავშირებულ სიღრმისეულ და სისტემურ კომპეტენციებს და კვლევის მეთოდების სწავლებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტის შემდგომ კარიერულ და პროფესიულ განვითარებას.

III სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც კურსდამთავრებულს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) სწავლის დასრულებისას. დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები მოიაზრებს კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მინიმალურ მოთხოვნებს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

აღრიცხვის და დაბეგვრის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:



- აღწერს ბიზნეს გარემოს და საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურას, ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებში მიმდინარე პროცესებს, ორგანიზაციის სამართლებრივ, სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს ეთიკის პრინციპებს;
- განმარტავს ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის პრინციპებს სამეურნეო ოპერაციებთან და სხვა მოვლენებთან მიმართებით; ფინანსური ანგარიშგების, როგორც შედეგის და პროგნოზის მნიშვნელოვანი საშუალების არსს, ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს-ები) და შესაბამის განმარტებით შენიშვნებში მოცემული ინფორმაციის ინტერპრეტაციის მნიშვნელობას;
- აღწერს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების მიზნებსა და ეტაპებს, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, შესაფერისი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების გამოყენების მეთოდებს;
- იაზრებს დაბეგვრის პრინციპებს, გადასახადების ადმინისტრირებისა და საგადასახადო დაგეგმვის მნიშვნელობას;
- აღწერს საფინანსო ინფრასტრუქტურას, ფინანსურ ინსტიტუტებს, ფინანსური მენეჯმენტის და საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელობას;
- ანალიზებს მონაცემებს ინდივიდების, ორგანიზაციების, ინსტიტუტების საფინანსო საქმიანობის შესახებ, უზრუნველყოფს ფინანსური დოკუმენტაციისა და ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) გამოყენებით;
- ახდენს კომპანიაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორების იდენტიფიცირებას, ბაზრის მდგომარეობის ანალიზს, რაციონალური აზროვნების გზით ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და რესურსების ეფექტიანად მართვას, ბიუჯეტირებას, საქმიანობის შედეგების შეფასებას;
- აფასებს ეკონომიკურ-საგადასახადო და ბიზნეს გარემოს, მიმდინარე პროცესებს, აყალიბებს შესაბამის დასკვნებს და ახდენს მათ ინტერპრეტაციას;
- ანალიზის პროცესში იყენებს მონაცემების დამუშავების შესაბამის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და ამყარებს კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით;
- განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში ეთიკის, პროფესიული პასუხისმგებლობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ასრულებს პროფესიულ საქმიანობას.

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები



აღრიცხვის და დაბეგვრის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას აღრიცხვისა და დაბეგვრის შემდეგ სფეროებში: ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი, საგადასახადო დაბეგვრა, ფინანსები და ფინანსური მართვა;
- იყენებს ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის პრინციპებს და ინსტრუმენტებს სამეურნეო ოპერაციებთან და სხვა მოვლენებთან მიმართებით;
- ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას და ახდენს მის ინტერპრეტაციას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით;
- აანალიზებს ფიზიკური და იურიდიული პირების საგადასახადო სტრატეგიებს და ამზადებს საგადასახადო დოკუმენტაციას სხვადასხვა ტიპის ბიზნესისთვის/საწარმოებისთვის;
- აფასებს ფინანსურ საქმიანობას, პროცესებს, ორგანიზაციების უწყვეტი განვითარების, რისკების, დანახარჯისა და სარგებლის გათვალისწინებით;
- პროფესიულ ეთიკასა და სამართლებრივ რეგულაციებზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად იღებს დასაბუთებულ პროფესიულ გადაწყვეტილებებს;
- იყენებს ბიზნეს-სააღრიცხვო პროგრამული უზრუნველყოფის ტექნოლოგიებს ფინანსური ანალიზის, ანგარიშგებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის მომზადებისთვის;
- დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, თანამედროვე მიდგომების გამოყენებით და ახდენს შედეგების არგუმენტირებულად დემონსტრირებას დაინტერესებულ მხარეებთან;
- ახორციელებს სწავლასა და საქმიანობას როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშაობის პრინციპებისა და უნარების გამოყენებით.
- კვლევის განხორციელების პროცესში განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და უზრუნველყოფს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.



ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონეების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემდგომ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების- „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ (№69/ნ, 2019 წლის 10 აპრილი, ქ. თბილისი) დანართი 2-ის „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით.

კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან, სტრუქტურიდან და მიზნებიდან გამომდინარე.

ა) თუ მე-6 და მე-7 დონეების საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსა, და ამავედროულად აღრიცხვის და დაბეგვრის მიმართულებით, თეორიულ შესწავლაზე და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს შემდეგნაირი:

- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში - Bachelor of Business Administration (BBA) in Accounting and taxation

- ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში - Master of Business Administration (MBA) Accounting and taxation

- აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში - Executive Master of Business Administration (EMBA) –in Accounting and taxation

ბ) თუ მე-6 და მე-7 დონეების საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია აღრიცხვისა და დაბეგვრის სწავლის სფეროს თეორიულ შესწავლაზე და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს შემდეგნაირი:

- აღრიცხვისა და დაბეგვრის ბაკალავრი - Bachelor of Accounting and taxation

- აღრიცხვისა და დაბეგვრის მაგისტრი - Master of Accounting and taxation

გ) თუ მე-6 და მე-7 დონეების საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს აღრიცხვის და დაბეგვრის სწავლის სფეროს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკული უნარებთან ერთად სამეცნიერო-კვლევითი უნარები მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს შემდეგნაირი:

- მეცნიერების ბაკალავრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში - Bachelor of Science (BSc) in Accounting and taxation



· მეცნიერების მაგისტრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში - Master of Science (BSc) in Accounting and taxation

დ) თუ აღრიცხვისა და დაბეგვრის სწავლის სფეროს შესაბამისი საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებებზე და ზოგადად აღრიცხვის და დაბეგვრის თეორიულ შესწავლაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს:

· ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში - Bachelor of Arts (BA) in Accounting and taxation

· ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი აღრიცხვასა და დაბეგვრაში - Master of Arts (MA) in Accounting and taxation

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში აღწერილი სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.

სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები თანხვედრაში უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებსა და პროგრამის კომპონენტებთან. სწავლისა და სწავლების მეთოდებმა, შეფასების კრიტერიუმებმა საშუალება უნდა მისცეს სტუდენტს წარმოაჩინოს მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობა აღრიცხვის და დაბეგვრის დარგობრივ მახასიათებელთან.

სტუდენტთა შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფდეს თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით. სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების ადეკვატურობა, აგრეთვე, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების ოდენობა და ხარისხი, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გზით, ექვემდებარება პერიოდულ გარე შეფასებას. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამოყენებისა და განვითარების შესაძლებლობას. სტუდენტმა უნდა შეძლოს სწავლის პროცესში აქტიურად ჩართვა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. სწავლის, სწავლებისა და შეფასების



ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები ყველაზე გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენს. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ ზოგიერთს, ასევე, სხვა მეთოდებს. ყველა შემთხვევაში, აღრიცხვის და დაბეგვრის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი სასწავლებლები უნდა ახდენდნენ სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების რეგულარულ გადახედვა-განახლებას.

აღრიცხვის და დაბეგვრის სფეროში სწავლების ფორმები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შემდეგი გავრცელებული მეთოდებით/აქტივობებით:

- ვერბალური მეთოდი (Verbal Method);
- დემონსტრირების მეთოდი (Demonstrate Method)
- პრეზენტაცია (Presentation)
- პრაქტიკული მუშაობა; (Practical Work)
- ჯგუფში მუშაობა (Group Work)
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება; (Project Based Study)
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; (Problem Based Study)
- სწავლება კეთებით (Learning by Doing)
- შემთხვევის შესწავლა (Case Study)
- სიმულაციური სწავლება (Simulation Study)
- დისკუსია/ დებატები (Discussions/Debates)
- ელექტრონული სწავლება;
- და სხვა.

სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ, რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა აქტივობას, კონკრეტული



სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე, მაგ.; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი; წიგნზე მუშაობა; წერიტი მუშაობა; ვერბალური ახსნა-განმარტება; დემონსტრირება; შემთხვევის ანალიზი (Case study); დამოუკიდებელი სწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); გონებრივი იერიში (Brain storming); ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD); როლური და სიტუაციური თამაშები; გუნდური (collaborative) მუშაობა; დისკუსია/დებატები; ანალიზი; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა); დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება); პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებიც მრავალგვარია და მოიცავს ზეპირსიტყვიერი ან/და წერილობითი ანგარიშის, დებატებში/დისკუსიებში/პროფესიული ხასიათის დისკუსიებში მონაწილეობის, მშობლიურ ან/და უცხოურ ენაზე ჩატარებული საჯარო პრეზენტაციების, კვლევითი ნაშრომებისა და გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეფასებასა და თანამშრომლობით მეთოდებს, აგრეთვე, კრიტიკული და კონსტრუქციული ხასიათის შენიშვნებსა და კომენტარებს სხვა სტუდენტების მიერ მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით.

VI. დამატებითი ინფორმაცია

1. აღრიცხვის და დაბეგვრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე;
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული სწავლის სფეროს აღრიცხვის და



დაბეგვრის პროგრამა/პროგრამები დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოიყვანონ ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი, პროგრამა/პროგრამებს 1 წელზე ნაკლებ ვადაში უწევს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა. თუკი, პროგრამა/პროგრამებს აღნიშნული ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წელზე ნაკლებ ვადაში უწევს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა, სააკრედიტაციო განაცხადში მითითებული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს დამტკიცებულ აღრიცხვის და დაბეგვრის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან.

3. დაწესებულება ვალდებულია, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სსიპგანათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში იყოს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან;

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

VII.I დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

N	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	ლევან საბაური	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი -
2	მედეა ზურაბიშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	შპს კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის ასისტენტპროფესორი
3	ვაჟა ვერულიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, საბურალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და საგადასახადო საქმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი



4	ნადეჟდა კვატაშიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის ასოცირებული პროფესორი
5	პანტელეიმონ (პაატა) კლდიაშვილი	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
6	იაშა მურვანიძე	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის მიმართულებით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დეკანის მოადგილე, ფინანსების ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი
7	ილია ბოცვაძე	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	იზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამების ხელმძღვანელი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
8	დავით ჯალალონია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) თავმჯდომარე (სპიკერი), პროფესორი
9	ალექსანდრე მიქელაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი



10	ერეკლე პირველი	შპს უნივერსიტეტი	კავკასიის	სრული პროფესორი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
11	იური დოლიძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოს წევრი
12	დავით სხილაძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (აუდიტის ინსპექტორი)
13	ლავრენტი ჭუმბურიძე	საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია ბაფი		საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია ბაფი-ის აღმასრულებელი დირექტორი
14	კონსტანტინე დათიაშვილი	საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია ბაფი		საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია ბაფის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე
15	ანა ოსიყმიშვილი	შპს „ქუდოს ჯორჯიას“		შპს „ქუდოს ჯორჯიას“ დირექტორი
16	ტატიანა ბერიძე	ა(ა)იპ კავშირი	ბუღალტერთა	ა(ა)იპ ბუღალტერთა კავშირის დამფუძნებელი, დირექტორი